სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის მოდელების ფუნქციონირება გლობალიზაციის პირობებში

პარმენ ლემონჯავა,
ემდ, სტუ-ს პროფესორი
თამარ ძაჯაია,
სტუ-ს დოქტორანტი

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოში უმნიშვნელოვანეს ამოცანადაა აღიარებული მწვავე სოციალური პრობლემების გადაწყვეტა. სოციალური ეკონომიკის მშენებლობა კი მიჩნეულია XXI საუკუნის ეკონომიკური განვითარების უპირველეს ამოცანად.

საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე გაძლიერებული ყურადღება მუდამ იყო და არის გამახვილებული მომავლის პრობლემის კვლევაზე. თუ როგორი იქნება მომავალი, ბევრადაა დამოკიდებული თვით ადამიანზეც. ადამიანს თვითონ შეუძლია იყოს თავისი ბედნიერების შემქმნელი. ეს კი, ჩვენი აზრით, შესაძლებელია მაშინ, თუ დღევანდელობაზე და სასურველ მომავალზე მართებული წარმოდგენა გვექნება.

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის მშენებლობამ შეიძლება მოითხოვოს ის, რომ ეკონომისტებმა და პოლიტიკოსებმა ანგარიში გაუწიონ მას, როგორც მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს დემოკრატიული სახელმწიფოს მნიშვნელობას. ასეთმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა პოლიტიკამ, რომელიც წარმატებით განხორციელდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, შეძლო უმოკლეს ვადებში გატარებულიყო ისტორიაში უპრეცედენტო ეფექტიანი სამუშაო. ამ ერთობლივი პოლიტიკით გათვალისწინებულ ღონისძიებათა მობილურად გამოყენების შესაბამისად შესაძლებელი შეიქმნა მოსახლეობისთვის არა მხოლოდ სამუშაო ადგილების შექმნა, არამედ ხალხის კეთილდღეობის ამაღლება ისეთ დონემდე, რომელმაც მეორე მსოფლიო ომამდე არსებულ საუკეთესო დონესაც გადააჭარბა. სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის მშენებლობა წავიდა ძნელი, მაგრამ სამართლიანი გზით აღორძინებისკენ.

საყოველთაოდ აღიარებულ მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ ლუდვიგ ერჰარდმა თავისი მოღვაწეობის დაწყებისთვის არსებული მდგომარეობა დაახასიათა თავის გამოსვლაში (1954 წლის 31 მაისს) შემდეგნაირად. ეს იყო დრო, როდესაც ადამიანების უმეტესობას არ უნდოდათ დაეჯერებინათ, რომ სავალუტო და ეკონომიკური რეფორმების მცდელობა შესაძლებელია წარმატებით განხორციელდეს. ეს იყო ის დრო, როცა ჩვენ გერმანიაში დაკავებული ვიყავით გათვლებით, რომელთა თანახმადაც ერთ სულ მოსახლეზე მოდიოდა ხუთ წელიწადში ერთი თეფში, თორმეტ წელიწადში – წყვილი ფეხსაცმელი, ორმოცდაათ წელიწადში – ერთი კოსტუმი. ეს იყო დრო, როცა ნედლეულის გათვლასა და სხვა სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით ხალხის ბედის განსაზღვრა მრავალი წლისთვის, ნიშნავდა მხოლოდ უსაზღვრო გულუბრყვილობას. ეს იყო დრო, როდესაც ადამიანებს არ ჰქონდათ წარმოდგენა თავიანთი დინამიკური ძალის იმ გარღვევებზე, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს ხალხში, როცა იგი გაიზიარებს თავის ღირსების თავისუფლების მაღალ ღირებულებას.[1]

გერმანიაში ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება დაიწყო ლოზუნგით „თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა“ და „ლიბერალიზაცია“, რომელიც განმეორებით იქნა შემოთავაზებული ეკონომიკის ფედერალური სამინისტროს მიერ.

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა, როგორც ლიბერალური ეკონომიკის ნაირსახეობა, ერთი მხრივ, გერმანელი სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერთა და, მეორე მხრივ, მეურნეობრიობის გერმანული გამოცდილების პირმშოა. იგი რიგი ნიშან-თვისებებით ხასიათდებოდა, კერძოდ:

1. სოციალურად ორიენტირებული საბაზრო მეურნეობის კონცეფცია ფორმირების არც ერთ

[1] ლ. ერჰარდი, კეთილდღეობა ყველასათვის, თარგ. გერმანულიდან, თბ. 2011, გვ. 39.

ეტაპზე დასრულებულად აღიარებული არ ყოფილა, სრულყოფის მიზნით მასში შეჰქონდათ კორექტივები, მაგრამ უნივერსალური მიდგომები პრინციპულად არ იცვლებოდა.

2. ზემოთ აღნიშნული კონცეფციის საფუძველზე, რომელიც XX საუკუნის პირველ ნახევარში ჩამოყალიბდა გერმანიაში შეიქმნა ფრეინბურგის, ჰუმანიტარული ტრადიციების ნეოლიბერალური მიმართულების და სოციალურ-ლიბერალური მიმართულების მეცნიერული სკოლები.

3. აღნიშნული სკოლების მიერ, მიუხედავად რიგი განსხვავებული პოზიციისა, შემუშავებული კონცეფცია ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზის ახალ მეთოდოლოგიურ მიდგომას ეფუძნებოდა და განიხილებოდა ურთიერთკავშირში სახელმწიფო მოწყობასთან, სამართლებრივ წესრიგთან და ა.შ.

4. ეკონომიკის აღდგენისა და შემდგომი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოდელის განხორციელებისას გერმანელი პოლიტიკოსები და სახელმწიფო სტრუქტურები ხელმძღვანელობდნენ სამეცნიერო მიმართულების სკოლების მიერ შემუშავებული პრინციპების სინთეზით. ნიშანდობლივია, რომ პრაქტიკაში ლუდვიგ ერჰარდისა და სხვა მეცნიერების მიერ შემოთავაზებულ რეკომენდაციებს განიხილავდნენ როგორც ორიენტირს და პრინციპების ერთობლიობას.

5. სოციალური პრობლემების გადაწყვეტის თვალსაზრისით XIX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში შეიქმნა უნიკალური გამოცდილება, რომელმაც მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის განვითარებას. ეს იყო გერმანიის კანცლერ ოტო ფონ ბისმარკის სოციალური გარდაქმნები, რომელიც გატარდა მაღალი განვითარებით გამოწვეული მწვავე სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად. მისი შეხედულებების რეალიზაციის საფუძველს წარმოადგენდა სავალდებულო წესით დაზღვევა და შესაბამისად კანონის ფუნქციონირება. სამეურნეო პრაქტიკაში ბისმარკის სოციალური რეფორმის მოდელი მალე ჩიხში მოექცა ფინანსური ხარჯების გაზრდის გამო. მიუხედავად ამისა, ბისმარკის სოციალურ რეფორმებს უკვალოდ არ ჩაუვლია. მან ხელი შეუწყო ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული მიდგომების მეთოდოლოგიური ასპექტების ჩამოყალიბებას. ამ რეფორმებმა გარკვეულწილად გავლენა იქონია გერმანული სამეცნიერო სკოლების ჩამოყალიბებაზეც, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ქვეყანაში ახალი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ფორმირებაში.

ფრაიბურგის სკოლამ შექმნა ეკონომიკური წესრიგის თეორია. მისი ძირითადი იდეა ისაა, რომ არა იდეოლოგები და წარმოებითი ურთიერთობანი, არამედ ეკონომიკის პრინციპები და წესები და ეკონომიკური მენეჯმენტი განასხვავებს ერთმანეთისგან ეკონომიკურ სისტემებს. ამასთან, იგი აღიარებდა, რომ ეკონომიკური წესრიგის ეფექტურობა ბევრადაა დამოკიდებული სხვა ელემენტებზეც. ამრიგად, პრობლემის გადაჭრის მიმართ კომპლექსური მიდგომის ამოცანა დაისახა.

ამერიკელ ცნობილ მეცნიერ ა. ოუკენს მიაჩნდა, რომ ეფექტიანი ეკონომიკური წესრიგი არ შეიძლება იყოს ტოტალიტარული, ამიტომ მისი აზრით კონკურენცია განაპირობებს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო სისტემის ეფექტიანობას და ქმნის ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების გარანტიებს. ეკონომიკური წესრიგი წარმოადგენს მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს ბაზარზე არა მხოლოდ თავისუფალ ფასებს, არამედ ეკონომიკისა და საზოგადოების თავისუფალ განვითარებას.

ფრაიბურგის სკოლისგან განსხვავებით ნეოლიბერალები: ვ. რეპკე, ა. რიუსტოვი ასაბუთებენ იმას, რომ საბაზრო მექანიზმი საკმარისი არ არის თავისუფალი და დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისთვის და, რომ აუცილებელია ეკონომიკაში მორალური, ეთიკური პრინციპების დამკვიდრებაც. ისინი მხარს უჭერდნენ „ძლიერი სახელმწიფოს“ იდეას და სწორად თვლიდნენ ცნობილი მეცნიერის ვ. რეპკეს მიერ დასახელებულ განვითარების „მესამე გზას“.

ვ. რეპკეს მიერ 1942 წელს წამოყენებული დებულება „მესამე გზის“ შესახებ, საზოგადოებაში მიჩნეული იქნა „ეკონომიკურ ჰუმანიზმად“, რომლის მიხედვითაც ადამიანი – მთავარი მეურნე და პოლიტიკური სუბიექტია. მისი აზრით, სამეურნეო სისტემა თავისუფალი ადამიანების „სოციალური ინტეგრაციის“ მხოლოდ ის ნაწილია, რომელიც წარმოიშობა „მორალისა და ინსტიტუტების“ ურთიერთქმედებით. ვ. რეპკე თვლიდა, რომ სახელმწიფო უნდა იყოს ძლიერი, რათა წარმატებით ებრძოლოს ძლიერ მონოპოლიებს და სხვა ჯგუფებს, რომლებიც ცდილობენ ბაზარზე გაბატონებას.

ვ. რეპკეს მიხედვით, „სოციალური ინტეგრაციის“ მეორე პირობაა დემოკრატიის დაცვა, რომელიც არ უნდა იყოს უსაზღვრო. მისი აზრით, სახელმწიფომ და საზოგადოებამ უნდა დაადგი-

ნონ მისი საზღვრები. სახელმწიფო უნდა ცდილობდეს ისეთი ზომების განხორციელებას, რომ საბოლოოდ მიღწეულ იქნეს სახელმწიფოსა და საზოგადოების ერთიანობა.

სოციალ-ლიბერალების წარმომადგენლის ა. მიულერ-არმაკის მთავარი იდეა მდგომარეობდა ბაზრებზე თავისუფლების პრინციპის სოციალური გათანაბრების პრინციპთან შეერთება. ა. ოუკენს და მის თანამოაზრეებს მიაჩნდათ, რომ თუ შეიქმნება ეფექტიანი ეკონომიკური წესრიგი, რომელიც გადაწყვეტს ყველა სოციალურ პრობლემას, საჭირო არ იქნება სპეციალური სოციალური პოლიტიკა. ამის საპირისპიროდ მიულერ-არმაკი კატეგორიულად ამტკიცებს იმას, რომ ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა ერთ დონეზეა. იგი მხარს უჭერს სახელმწიფოს მიერ სოციალური მიზნებისათვის შემოსავლების პირდაპირი გადანაწილების პრინციპს. მისი აზრით, სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს მისი შესაძლებლობები მმართველი ძალების განვითარების მხარდასაჭერად, ხოლო მმართველ ძალებმა კი თავიანთ საქმიანობა უნდა წარმართონ საერთო ინტერესების მისაღწევად.

ა. მიულერ-არმაკი გამოკვეთილად მხარს უჭერდა სოციალური დახმარების გაფართოებას ოჯახებისათვის. მისი აზრით გარემოს დაცვა, ინფრასტრუქტურის განვითარება, ცოდნის მიღების შესაძლებლობათა შექმნა, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის განმტკიცებისა და სრულყოფის მნიშვნელოვანი ელემენტებია.

სოციალური საბაზრო მეურნეობის კონცეფციის შემუშავებაში ა. მიულერ-არმაკის განსაკუთრებული როლის შესახებ, პროფესორი ე. ტუხტფელდტი აღნიშნავდა, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად სოციალური საბაზრო მეურნეობის კონცეფცია უნდა გავიგოთ იმ აზრით, რომლითაც იგი შემუშავებულ იქნა ა. მიულერ-არმაკის, როგორც მეცნიერის და გამოყენებულ იქნას სამეურნეო პრაქტიკაში. ლუდვიგ ერჰარდის მიერ რეალიზებული სოციალური საბაზრო მეურნეობის კონცეფცია არსებითად სოციალ-ლიბერალების ა. მიულერ-არმაკის და სხვათა თეორიულ მეთოდოლოგიურ ბაზაზე შეიქმნა. ამიტომ ითვლება ა. მიულერ-არმაკი ახალი მოდელის სოციალური საბაზრო მეურნეობის ავტორად.[2]

გერმანელი მეცნიერის ლუდვიგ ერჰარდის თეორიულ შეხედულებათა ბაზაზე ჩამოყალიბდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში გერმანიის ეკონომიკური და სოციალური სისტემების ტრანსფორმაციის სახელმწოფო პოლიტიკა. ლუდვიგ ერჰარდის რეფორმების მიზანი არა მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკის აღდგენაა, არამედ თვისებრივად ახალი ეკონომიკური სისტემის ფორმირება. გერმანიამ ამ ამოცანის განხორციელება მოკლე პერიოდში (1948-1954წ.წ.) შეძლო. მალე მსოფლიოში ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გამოცდილება „ეკონომიკურ სასწაულად“ იქნა აღიარებული. ამ წარმატებაში უდაოდ დიდია ლუდვიგ ერჰარდის როლი, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორების როლიც. საყოველთაო აღიარებით, გერმანიის წარმატება უზრუნველყოფილ იქნა ფაქტორთა ერთობლიობით. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს მწვავე და მიზანმიმართული დებატების შემდეგ განვითარების არა მხოლოდ მთავრობის, არამედ მთელი საზოგადოების მხარდაჭერა, რაც ძალზე მნიშვნელოვანია. ამასთან, გარდაქმნების პერიოდი დაემთხვა მსოფლიოში ეკონომიკური ციკლის აღმავლობის ფაზას. დიდი როლი ითამაშა „მარშალის გეგმამ“, რომელიც ეყრდნობოდა გერმანიის მთავრობის ორიენტაციას, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის თვალსაზრისით.

გერმანიის გამოცდილებამ აჩვენა, თუ როგორ შეიძლება სწორი თეორიული კონცეფციების საფუძველზე სახელმწიფოს პოლიტიკის შემუშავებითა და განხორციელებით სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის წარმატებით მშენებლობა.

ამრიგად შეიძლება ითქვას, რომ გერმანიის სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის მოდელი თავისი ბუნებით, ფუნქციონირების ლოგიკით, ამოსავალი საწყისით ლიბერალურია და ორიენტირებულია თავისუფლებაზე, ეყრდნობა ძლიერ სახელმწიფო პოლიტიკას, რომლის სტრატეგიული ამოცანაა კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფა, სოციალური სამართლიანობა და სტაბილურობის პრინციპების დაცვა.

გერმანული სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის განვითარების მოდელის შინაარსზე ასე ვრცლად მსჯელობის შემდეგ შეიძლება გავაანალიზოთ, ავსტრიული, შვედური და იაპონური სოციალური მოდელების განვითარება.

ავსტრიის სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკა, რომელშიც ტრადიციულად სახელმწიფო ასრულებს დიდ როლს, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ერთმანეთთან უშუალოდ დაკავშირებული პოლიტიკის შედე-

[2] Гуткин В. Политика хозяиственного порядка в Германии, М., 2002, с. 55.

გია. იგი წლების მანძილზე მიზნად ისახავდა ფულის მიმოქცევის სტაბილიზაციას, ფასებისა და ხელფასების რეგულირებას, კონკურენციის სტიმულირებას, საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციას. აღიარებულია, რომ ავსტრიის სოციალურად ორიენტირებულ ეკონომიკაში მოინახა ოპტიმალური პროპორციები სახელმწიფოსა და საბაზრო სტრუქტურებს შორის. სახელმწიფოს მიზანმიმართული საქმიანობით შესაძლებელი გახდა ქვეყნის ეკონომიკის სტაბილიზაცია. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა სახელმწიფო პოლიტიკის სოციალურმა მიმართულებამ. სახელმწიფომ შეძლო შეექმნა სამართლებრივი და ორგანიზაციული გარემო ჯანსაღი კონკურენციისათვის და ყოველმხრივ შეუწყო ხელი საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების ინტერესების დაახლოებას. ამ საქმეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო ფასებისა და ხელფასის რეგულირების საერთო ეროვნული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება. ხელფასისა და ფასების საკითხებზე საზოგადოებრივი თანხმობის მიღწევაში დიდი როლი შეასრულა პარიტეტულმა კომისიამ, რომელშიც მოსახლეობის ძირითადი ჯგუფების წარმომადგენლები და მთავრობის წევრები მონაწილეობდნენ.

ავსტრიაში კონკურენციის და სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის განვითარების სტიმულირება ხორციელდება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მხარდაჭერით და ქვეყნის ღია ეკონომიკით. სახელმწიფო და საზოგადოებრივ კონტროლს ექვემდებარება მსხვილი ბიზნესი, თავისუფლება ეძლევა მცირე ბიზნესს.

ავსტრიაში სოციალური დაზღვევის კარგი ტრადიციები არსებობს. საზოგადოება აზღვევს ინდივიდის რისკს, რომლის მიხედვით თითოეული ინდივიდი პასუხს აგებს თავისი საქმიანობის მიხედვით.[3]

აღსანიშნავია, რომ ავსტრიაში 1877 წლიდან ხდება უბედური შემთხვევის დაზღვევა, ხოლო 1888 წლიდან მოქმედებს ავადმყოფობის გამო დაზღვევა. 1906 წელს მიღებულ იქნა კანონი კერძო ფირმების მოსამსახურეთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ. 1911 წლიდან აიკრძალა ღამის საათებში ქალის შრომა. საპენსიო დაზღვევის შენატანებს იხდიან დამსაქმებულები და დასაქმებულები. საპენსიო ფონდიდან გაიცემა ინვალიდობის და პროფესიული შრომისუნარობის პენსიები, აგრეთვე პენსიები ობლებზე. დაზღვეულია ყველა, ვისაც შრომითი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული, ასევე ბავშვები, რომლებიც საბავშვო ბაღში დადიან, მოსწავლეები, სტუდენტები და ა.შ.

ეკონომიკური განვითარების შვედური მოდელი, რომელიც სკანდინავიური მექანიზმით არის ცნობილი, გამოირჩევა მკაფიოდ გამოხატული სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის მიმართულებით. მისი ბირთვია მძლავრი სოციალური პოლიტიკა და აქედან გამომდინარე, სოციალურ გარდაქმნათა მაღალი დონე.

ეკონომიკის შვედურ მოდელის განმსაზღვრელს წარმოადგენს "დინამიკური ბაზრის შერწყმა სოციალური მიზნების მიღწევებთან". იგი ეყრდნობა პრინციპს, რომლის მიხედვით საბაზრო ძალებმა თავისუფლად უნდა შექმნან მატერიალური დოვლათი, მაგრამ სახელმწიფოს მეთვალყურეობით შესაძლებელი უნდა იყოს არასასურველი სოციალური შედეგების დროულად გამოვლენა და აღმოფხვრა. მიღებული სიმდიდრე რაც შეიძლება სამართლიანად უნდა გადანაწილდეს საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა პრიორიტეტით. ასეთი მიდგომა მნიშვნელოვნად ამაღლებს ეკონომიკის ფუნქციონირებაში სოციალური თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვისადმი საზოგადოების ყურადღებას.

შვედური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოდელი ეყრდნობა:

1. ახლო პერსპექტივაში ეკონომიკური წონასწორობის პროგნოზირებას. აქ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დასაქმებას, ინფლაციის ზრდის ტემპის შემცირებას, საგარეო და საშინაო საგადასახდელო ბალანსის მაჩვენებლებს;
2. კაპიტალური დაბანდების მოცულობისა და მიზნების გათვალისწინების კონტროლს;
3. მოსახლეობაში რესურსების განაწილებას, თითოეული ადამიანის შესაძლებლობების გათვალისწინებით.

ასეთი სოციალურ-ეკონომიკური მოდელის საფუძველზე უზრუნველყოფილია მოსახლეობის სამართლებრივი და სოციალური დაცვის მაღალი დონე.

შვედური სოციალურ-ეკონომიკური მოდელისათვის დამახასიათებელი ტენდენციებია ეკონომიკის სტაბილური ზრდა, ინფლაციის დაბალი ტემპი, დასაქმების მაღალი დონე, მოსახლეობის შემოსავლების გადიდება, ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის გაწონასწორება. ეკონომიკის შვედური მოდელის განხორციელებით ქვეყანაში მიღწეულია არა მხოლოდ ცალკეული მოქალაქის კეთილდღეობა, არამედ ქვეყანაში ცხოვრების საერთო მაღალი დონე, შრომისა და მოხმარების თანაბარი უფლება, საბავშვო

[3] ნ. ჭითანავა, ლ. თაკალანძე, სოციალური ეკონომიკა, ფორმირება და განვითარება, I ნაწილი, თბ. 2008, გვ. 51.

დაწესებულებებსა და სკოლებში უფასო კვება და განათლება, ასაკოვანთა ცხოვრების მაღალი დონე. სოციალური თვალსაზრისით ყველაზე დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს საზოგადოებრივი ცხოვრების ერთიანი ჰუმანიზირებული სისტემის ფუნქციონირება.[4]

შვედურ მოდელში მთავარია ადამიანური ფაქტორი, განსაკუთრებით მისი ისეთი მხარე, როგორიცაა: საერთო და სპეციალური განათლების დონის ამაღლება, სადაც გათვალისწინებულია დაიცვან პრინციპი. "კვალიფიკაციის დონის ამაღლება უნდა უსწრებდეს მეცნიერულ-ტექნოლოგიურ პროგრესს და სტრუქტურულ ცვლილებებს."

საბაზრო ეკონომიკის განვითარების იაპონური მოდელი დიდი ხანია მთელი მსოფლიოს გაძლიერებული ყურადღების ცენტრშია. სწორედ ამ მოდელთან არის დაკავშირებული იაპონიის საყოველთაოდ ცნობილი წარმატებები, როგორც ეკონომიკის ყველა სფეროში, ისე მოსახლეობის მაღალი ცხოვრების დონის უზრუნველყოფაში.

იაპონური ცხოვრების მაღალი დონის არსი და სპეციფიკურობა, მისი განსხვავება სხვა მაღალ განვითარების ქვეყნების ანალოგიურ მოდელებისგან, განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ამ ქვეყნის ფირმების მენეჯმენტის მაგალითზე.

მენეჯმენტის იაპონური ტიპის ძირითადი ნიშან-თვისებები ჩვეულებრივ დაიყვანება მომუშავეთა ხანგრძლივი, პრაქტიკულად სამუდამო დაქირავების სისტემაზე, ხელფასის შიგა ნამსახურობის შესაბამის დონეზე და პრინციპზე „ერთი საწარმო – ერთი პროფკავშირი".[5]

იაპონური მოდელის ფუძემდებლურ პრინციპებს სპეციალისტები ჰყოფენ ოთხ ჯგუფად: პირველი – ესაა კორპორაციებისა და მომუშავეთა ცხოველმოქმედების ინტერესებისა და სფეროების ფართო გადაკვეთილობა. იგი გამოიხატება იმაში, რომ მომუშავე დიდად არის დამოკიდებული თავის კორპორაციაზე. მას ეძლევა მნიშვნელოვანი მატერიალური და სოციალური გარანტიები, რომელთა სანაცვლოდ მზადაა ერთგულად ემსახუროს ფირმას და გაიღოს ნებისმიერი მსხვერპლი მისი ინტერესებისათვის.[6]

მენეჯმენტის იაპონური ტიპის პრინციპთა მეორე ჯგუფს მიეკუთვნება იაპონელთა ეროვნულ-ფსიქოლოგიური თავისებურებებით განპირობებული კოლექტიურობის პრიორიტეტი ინდივიდუალურთან შედარებით, ადამიანთა კოოპერაციის ყოველნაირი წახალისება ფირმის შიგნით და მომუშავეთა შორის თანასწორობა.

ამავე მოდელის მესამე ჯგუფის პრინციპების არსი გამოიხატება მეორე ჯგუფის სამი ძირითადი ძალის გავლენისა და ინტერესების მიზანმიმართულ დაბალანსებაში, რომელიც უზრუნველყოფს ფირმის მენეჯმენტის მუშაკებისა და ინვესტორების ფუნქციონირებას.

მეოთხე ჯგუფის პრინციპებს შეადგენს ფირმების – საქმიან პარტნიორებს შორის სხვადასხვაგვარი კავშირების ფორმირების წესი.

ზემოთ ჩამოთვლილი ფუნდამენტური პრინციპები განასახიერებენ პირველს იმ სამი ძირითადი ფაქტორიდან, რომლებიც განსაზღვრავენ ფირმის მენეჯმენტის მეთოდებს. მეორე ფაქტორს განეკუთვნება ჩამოთვლილი პრინციპების რეალიზაციის მექანიზმები როგორიცაა: შრომის ორგანიზაცია, საწარმოო პროცესის მენეჯმენტი და კონტროლი, ჯგუფური მუშაობის და კოოპერაციის სტიმულირება, დაქირავება და შრომის პირობები.

კორპორაციები უზრუნველყოფენ თავიანთ მუშაკებს სოციალური მომსახურების ისეთი სახეებით როგორიცაა: საცხოვრებელი ბინით, სამედიცინო და სატრანსპორტო მომსახურებით უზრუნველყოფა, კოლექტიური დასვენებისა და სპორტული ღონისძიებების ორგანიზაციით და სხვა.

იაპონური მოდელის ფუნქციონირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს იაპონელთა ეროვნულ-ფსიქოლოგიური ნირის ადეკვატური ნიშანთვისებები როგორიცაა: მოქალაქეობრივი მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გაძლიერება, ოჯახისადმი ერთგულება, მიდრეკილება სხვების მხარდაჭერისადმი, ბეჯითად მომუშავე ადამიანთა მაღალი სოციალური პრესტიჟი, უპირატესობის მიცემა ხანგრძლივი, გრძელვადიანი ხასიათის ურთიერთობებისათვის და ა.შ.

მენეჯმენტის იაპონური ტიპის მოდელი სპეციფიკურია და მოქმედებს მხოლოდ იაპონიისათვის დამახასიათებელ სოციალურ-ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ გარემოში.

სოციალური ეკონომიკის ფუნქციონირების ჩვენ მიერ განხილული მოდელების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მიუხედავად მათი სოციალური ორიენტაციისა, სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური სისტემები ერთმანეთისგან განსხვავდება არა მხოლოდ ეფექტიანობით, არამედ ფუნქციონირების პრინციპით, რეგულირების მექანიზმებით. მაგრამ საერთოა ის, რომ საბაზრო ურთიერთობათა საფუძველზე

[4] ეკონომიკური თეორია, გ. ადეიშვილისა და რ. ასათიანის რედაქციით. თბ. 1998, გვ. 104.

[5] ნ. სანთელაძე, საბაზრო ეკონომიკის მოდელები, თბ. 1993. გვ. 6.

[6] ჟურნალი „Мировая Экономика и Международные Отношения" №8, 1991. გვ. 58.

ეკონომიკის განვითარების მოდელების საშუალებით სახელმწიფო აქტიურად მონაწილეობს მთელი საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლების ამოცანის განსაზღვრასა და განხორციელებაში და შესაბამის ინსტიტუტებისა და საბაზრო მექანიზმების კოორდინაციით აღწევს დაპირისპირებულობის შენელებას და სოციალურ თანხმობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ერჰარდი ლ., კეთილდღეობა ყველასათვის, თარგ. გერმანულიდან, თბილისი 2011წ.
2. ჭითანავა ნ., თაკალანძე ლ., სოციალური ეკონომიკა, (ნაწილი I), თბილისი 2008წ.
3. რიკარდო დ., პოლიტიკური ეკონომიის და დაბეგვრის საფუძვლები, თბილისი 1937წ.
4. ეკონომიკური თეორია, გ.ადეიშვილისა და რ.ასათიანის რედაქციით. თბილისი 1998წ.
5. Гуткин В.Политика хозяиственного порядк в Германии м. 2002.

FUNCTIONING OF SOCIALLY FOCUSED ECONOMIC MODELS IN THE CONDITIONS OF GLOBALIZATION

PARMEN LEMONJAVA,
Professor of GTU
TAMAR QAJAIA,
PhD student of GTU

In this scientific article is discussion essence of socially orientated economics and its models function in globalization conditions. In this theme are separately analyze Germany's, Austrias's, Sweden's and Japan's socially orientated economics marketing economic's models function.

Enumeration countries' socially orientated economics construction's models could be used countries whose have analogous economical system.